მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის წესდება

გადახედვის სიხშირე: წლიური
წესდება დაწერილია: PR და მარკეტინგის განყოფილების მიერ
წესდება დაწერილია: ნოემბერი, 2017
ბოლო გადახედვის თარიღი: სექტემბერი, 2023

სოფიო ბაზაძე
დირექტორი

2, I. Skhirtladze st.
0177 Tbilisi, Georgia
Tel: (032) 239 59 64
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია (PTA) მიზნად ისახავს, გაამდიდროს მოსწავლეთა და მშობელთა გამოცდილება და იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე „ევროპულ სკოლაში“ ყოფნის დროს. PTA–ის ძირითადი მიზნებია:

- წაახალისოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში;
- გააძლიეროს ურთიერობა მშობლებს, მოსწავლეებს, თანამშრომლებს, ხელმძღვანელობასა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის;
- ხელი შეუწყოს ინფორმაციის მიმოცვლას მშობლებსა და „ევროპული სკოლის“ ადმინისტრაციას შორის.

PTA აქტიურად ახდენს სოციალური და საქველმოქმედო ღონისძიებების დაგეგმვას, კოორდინირებასა და ჩატარებას, რაც ხელს უწყობს სკოლაში ერთიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: ახალ მშობლებთან შეხვედრის წვეულებას, საახალწლო საქველმოქმედო ბაზრობას, საოჯახო სპორტის დღეს, ევროპის დღეს, სადაც წახალისებულია ყველა ოჯახის მიერ მონაწილეობის მიღება.
PTA-ის კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, PTA–ის კოორდინატორი, ოთხი სხვადასხვა პროგრამის (IB, ASAS, ქართული პროგრამისა და ევროპული ბაღის) PTA კომიტეტის თავჯდომარეები, პროგრამების კოორდინატორები და PTA კომიტეტების წევრი მშობლები.
ყველა მშობელი და მეურვე შეიძლება იყოს PTA–ს წევრი. კლასის წარმომადგენლები აირჩევიან პირველ კრებაზე, რომელიც ტარდება სექტემბერში. PTA პროექტების ეფექტური კოორდინირებისა და განხორციელებისთვის PTA კომიტეტი აირჩევა ყოველ სასკოლო წელს. ნებისმიერ მშობელს შეუძლია დაესწროს ყოველთვიურ PTA შეხვედრებს, გაუზიაროს დამსწრე საზოგადოებას თავისი იდეები და ჩაერთოს მომავალი ღონისძიებების დაგეგმვაში. ეს არის საუკეთესო გზა,მშობლებმა შეიტყონ მეტი სკოლის შესახებ, შეიძინონ ახალი მეგობრები და ამავე დროს შეიტანონ წვლილი სკოლის წინსვლაში.

წარმომადგენლის პასუხისმგებლობები

„ევროპულ სკოლაში“ ყველა კლასს ჰყავს მინიმუმ ერთი წარმომადგენელი მშობელი PTA– ში. წარმომადგენლები არიან დამაკავშირებელი რგოლი კლასის მშობლებსა და სკოლას შორის და უნდა აცნობიერებდნენ მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლის წინაშე საკუთარ პასუხისმგებლობას.

1. PTA შეხვედრებს უნდა დაესწროს მინიმუმ ერთი წარმომადგენელი თითოეული კლასიდან ან იპოვოს შემცვლელი, თუ მას არ შეუძლია მონაწილეობა;

2. წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, მხარი დაუჭირონ PTA–ს და სკოლის ღონისძიებებს სხვადასხვა აქტივობაში მოხალისეობით ან კლასში მოხალისეების მოძებნით;

3. წარმომადგენლებმა უნდა დაუჭირონ მხარი იმ კლასს, რომელსაც წარმოადგენენ. ეს შეიძლება მოიცავდეს მოხალისეობას ან მოხალისეების მოძებნას საველე

გასვლებისთვის, დამრიგებლის დახმარებას ექსკურსებისა და სხვა ღონისძიებების დროს;

4. ისინი ასრულებენ დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას მშობლებს და PTA–ს შორის უკუკავშირისა და ინფორმაციის გაზიარებისას. კლასის წარმომადგენლებმა PTA–ს შეხვედრებზე სკოლის ხელმძღვანელობას უნდა გაუზიარონ კლასის დანარჩენი მშობლების შემიშვნები და მოსაზრებები სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით.

წესები და რეგულაციები

მუხლი 1 - **მიზნები**
„ევროპული სკოლის“ მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია დაფუძნებულია იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს თანამშრომლობას სკოლის საზოგადოების სხვადასხვა რგოლს შორის.

მუხლი 2 - **ასოციაციის წევრები**
ასოციაცია შედგება სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების მშობლებისგან (მამები, დედები ან მეურვეები) და სკოლის თანამშრომლებისგან.

მუხლი 3 - **ასოციაციის შემადგენლობა**
ასოციაცია შედის შემდეგი კომიტეტები:

- ქართული პროგრამის PTA კომიტეტი
- IB პროგრამების PTA კომიტეტი
- ASAS PTA კომიტეტის
- ევროპული საბავშვო ბაღის PTA

კომიტეტი

მუხლი 4 - არჩევის მეთოდები კლასის წარმომადგენლების არჩევა

არჩევნები ხდება კლასის პირველი კრებაზე, რომელსაც ატარებს მასწავლებელი აკადემიური პროგრამის პრეზენტაციისთვის.

თითოეულმა კლასმა უნდა აირჩიოს სულ მცირე ერთი წარმომადგენელი, ამას დამატებული - 1 სარეზერვო (არ არის სავალდებულო), რომელიც იქნება მისი შემცვლელი როცა კლასის წარმომადგენელი ვერ მიიღებს მონაწილეობას PTA–ს ღონისძიებებში (შეხვედრები, საქველმოქმედო აქტივობები). მშობელს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი კლასი.

მასწავლებლის წარმომადგენლების არჩევა

PTA–ში უნდა იყოს სკოლის თითოეული პროგრამის მასწავლებლების თითო წარმომადგენელი (ქართული პროგრამა, სამი IB პროგრამა, ამერიკული უმაღლესი სკოლა, ევროპული საბავშვო ბაღი), სასურველია კოორდინატორი.

მუხლი 5 - **PTA კომიტეტი და PTA კოორდინატორი**

კომიტეტი და კლასის წარმომადგენლები დარჩებიან დაკავებულ პოზიციაზე, სანამ ჩატარდება ხალი არჩევნები სასწავლო წლის დასაწყისში.

PTA კოორდინატორი წარმოადგენს სკოლის ადმინისტრაციას და თავმჯდომარეობს PTA კომიტეტის ყველა შეხვედრას ასოციაციის წესების და რეგულაციების თანახმად.

PTA კოორდინატორი პასუხისმგებელია PTA კომიტეტების მინიმუმ ორი სემესტრული შეხვედრის მოწვევაზე და მონაწილეთათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნაზე შეხვედრამდე 2–3 დღით. კომუნიკაცია PTA კომიტეტებში ხორციელდება ორ ენაზე (ინგლისურ-ქართული).

PTA კოორდინატორი ამზადებს თითოეული შეხვედრის ოქმს და უგზავნის მას PTA–ს დირექტორს –სკოლის აკადემიურ დირექტორს 7 დღის განმავლობაში.

PTA კომიტეტების თავჯდომარე მშობლები ეხმარებიან PTA კოორდინატორს შეხვედრების წარმართვაში და ჩაანაცვლებენ მას არყოფნის შემთხვევაში.

PTA ღონისძიებები

ყოველ წელს PTA მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის ატარებს შემდეგ ღონისძიებებს:

ახალ მშობლებთან შეხვედრის წვეულება - ტარდება წლის პირველ თვეში, რათა მოხდეს სკოლაში ახალი მშობლების მიღება;

საახალწლო საქველმოქმედო ბაზრობა საქველმოქმედო ბაზრობა ტარდება დეკემბრის ბოლოს სკოლის მთელი საზოგადოებისთვის, სადაც მონაწილეები წარადგენენ ხელნაკეთ ნივთებს და აწყობენ მათ მიერ გამომცხვარი პროდუქციის გაყიდვას იმისთვის, რომ მოხდეს თანხის შეგროვება სხვადასხვა ბენეფიციარებისთვის;

საოჯახო სპორტის დღე - ღონისძიების ფარგლებში ეწყობა სპორტული თამაშები მთელი ოჯახისთვის. ეს აქტივობა ემსახურება ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობას;

ევროპის დღე - ტარდება მაისის პირველ კვირაში სკოლის მთელი საზოგადოებისთვის და ორგანიზებულია „ევროპულ სკოლაში“ არსებული კულტურული მრავალფეროვნების აღსანიშნავად;

საერთაშორისო კერძების დღე - ღონისძიება, სადაც მოსწავლეები და მათი მშობლები სხვადასხვა ქვეყნებიდან წარმოადგენენ ჯანსაღ ეროვნულ კერძებს;

ოჯახის ისტორიის დღე – ღონისძიება, სადაც უცხოელთა ოჯახები დამსწრეებს უზიარებენ თავისი ოჯახის ისტორიას, წარმომავლობას, საკუთარი ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს.